პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 53 (10447) | შაბათი, 3 მარტი, 1956წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტურ პარტიას უთუოდ საჭიროდ მიაჩნია კვლავაც უზრუნველყოს მძიმე მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური პროდუქტებისა და საშენი მასალების წარმოების უფრო სწრაფი ზრდა. ამასთან ყრილობას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი წარმოების ამჟამად მიღწეული დონე საშუალებას გვაძლევს სწრაფი ტემპებით განვავითაროთ არა მარტო წარმოების საშუალებათა, არამედ აგრეთვე სახალხო მოხმარების საგნების წარმოება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

## სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის

ჩვენი დიდი ქვეყნის მილიონობით ადამიანი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობას. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ შეჯამებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების უდიდესი შედეგები, დასახულია კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკის განხორციელებით მოპოვებული თვალსაჩინო გამარჯვებანი და დიდი პერსპექტივები კანონიერი სიამაყისა და სიხარულის გრძნობებს უნერგავენ საბჭოთა ადამიანებს და აღაფრთოვანებენ მათ ახალი შრომითი გამარჯვებისათვის.

პარტია, საბჭოთა ხალხი, ისევე რო- […]

[…] სოდ მოეწყოს კოლმეურნეობებში შრომა, სწორად გატარდეს კოლმეურნეთა, მექანიზატორთა და მეცხოველეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირების პრაქტიკის ფართოდ გამოყენება ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითისამებრ.

პარტიის XX ყრილობამ გაამახვილა ყურადღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხზე. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე და ამავე დროს შრომის ხარჯვის შემცირება თვითეული ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე".

ფაქტები მოწმობენ, რომ საქართველოში მთელი რიგი კოლმეურნეობები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ჯერ კიდევ ცუდად არის მოწყობილი ბრძოლა იმისათვის, რომ […]

[…] დარგში. სარწყავი ქსელის მშენებლობა განხორციელდება 40 ათას ჰექტარ ფართობზე და ამოსაშრობი ქსელისა — 10 ათას ჰექტარ ფართობზე. ქართველი ხალხისათვის საუკეთესო საჩუქარი იქნება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრება.

ჩვენს კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და ყველა მშრომელს დიდი მუშაობა მოუხდებათ, რათა განახორციელონ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ამაღლდეს სოფლად შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო განმტკიცდეს შრომის დისციპლინა, საუკეთე- […]

[…] ნათ ლენინურ პოლიტიკას და კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, რათა ამთავითვე ჩაუყარონ მტკიცე საფუძველი მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული დიდი ამოცანების შესრულებას.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა მასების მზარდი შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა წარმართონ პარტიის ყველა დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის. მათი ღვიძლი საქმეა ყოველდღიურად, კონკრეტულად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, სოფლის მთელი ძალები დარაზმონ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად შესასრულებლად.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი საქართველოს მშრომელებს აღაფრთოვანებენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

### მანქანათმშენებლების ვალდებულებანი

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მოწვეულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საქარხნო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა პარტიის XX ყრილობის შედეგებს, ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად იკისრა:

1956 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება ვადაზე ადრე და გეგმის გადამეტებით 1 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება; შრომის ნაყოფიერების ამაღლება გეგმით გათვალისწინებულზე 3 პროცენტის გადამეტებით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 2,5 პროცენტის გადამეტებით და ცალმხრივი კოტასაჭრელი ჩარხის საცდელი ნიმუშების გამოშვება მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბოლომდე იმ ვარაუდით, რომ მეორე კვარტალში დაიწყოს ამ ჩარხების სერიული გამოშვება.

### საყოველთაო მოწონება

თელავი. (საკ. კორ.). რაიონის წარმოებადაწესებულებებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. მშრომე- […]



აგიტატორი ქ. იორამაშვილი მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

### მოვიპოვებთ ახალ წარმატებებს

ჩვენი, ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ამ დღეებში უდიდეს სიხარულს განიცდიან. მემინდვრეობისა და მეჩაიეობის ყველა ბრიგადასა და რგოლში, მეცხოველეობის ფერმებში კოლმეურნეები სწავლობენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამხა- […]

[…] მინდის მოსავლის შემდგომი გადიდების მიზნით აითვისონ 50 ჰექტარი ყამირი, სათესი ფართობის დიდ ნაწილზე მოაწყონ ხელოვნური დაშლამვა, მოამზადონ და მინდვრად გაიტანონ 200 ტონა ორგანული სასუქი, ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა აიყვანონ 4.500 კილოგრამამდე ჰექტარზე, გააშენონ 10 […]

[…] რებზე მყოფი კისისხევის კოლმეურნეობის მწყემსები. მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს მთლიანად შეინარჩუნონ მიღებული ნამატი, თვითეულ ცხვარზე მიიღონ 4 კილოგრამი მატყლი და 5 კილოგრამი ყველი. ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკები.

[…] წიფო გეგმა. მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. პარტიის XX ყრილობამ სოფლის მეურნეობის წინაშე დიდი ამოცანები დასახა.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ჩვენი კოლმეურნეობის აქტივმა შეისწავლა არტელის რეზერვები და ერთსულოვნად გადაწყვიტა: სი- […]

[…] ველად. ისინი არ დაიშურებენ ძალღონეს იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ პარტიისა და მთავრობის მითითებანი და მიაღწიონ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას.

დ. ქათამაძე,
ტყიბულის რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

### 11 მილიონი მანეთის ქსოვილები გეგმის გადამეტებით

დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს პარტიის XX ყრილობის მუშაობას თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფეიქრები. ისინი ახალი წარმატებებით შეეგებნენ ყრილობის გახსნას. იანვრის დავალების გადამეტებით 11 ათასი მანეთის ქსოვილები გამოუშვეს. გადაჭარბებით შესრულდა თებერვლის დავალება.

ჩატარდა ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი მიტინგი. ფაბრიკის კოლექტივი სიხარულით მიესალმა ყრილობის გადაწყვეტილებებს.

— ჩვენს ფეიქრებში, — თქვა მრავალდაზგისანმა მქსოველმა მ. ფსუტურმა, — უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ყრილობის გადაწყვეტილებებმა. ისინი წარმოადგენენ საბჭოთა ხალხის დიადი შემოქმედებითი შრომის გრანდიოზულ პროგრამას. მათში გამოხატულია კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. ამის ერთ-ერთი საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს სამუშაო დროის შემცირების, ხელფასის მომატების, საპენსიო საქმის მოწესრიგებისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელება, რაც ახლო ხანშია გათვალისწინებული.

ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ ყრილობის გადაწყვეტილებათა გადამდი და წარმა- […]

[…] ფეიქრებმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის XX ყრილობის დადგენილებები. მათ გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 11 მილიონი მანეთის პროდუქცია. ერთი პროცენტით გაადიდონ პირველი ხარისხის აბრეშუმეულის დამზადება და გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება.

### მეცხოველეობის მეტი პროდუქტებისათვის

დმანისი. (საკ. კორ.). ბაშკიჩეთის მეცხოველეობის საჯიშე სანაშენო საბჭოთა მეურნეობაში ამ დღეებში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობიან პარტიის XX ყრილობის მასალებს.

მეურნეობის დირექტორმა გ. ბასილაშვილმა ყრილობის მასალების გაცნობისას განაცხადა— […]



თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელიც ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, გაორკეცებული ენერგიით იბრძვის გადიდებული დავალებების პირნათლად შესრულებისათვის. სურათზე: გოგორწყვილების საამქროს მოწინავე ხარატი ს. გომარელი, რომელიც ყოველთვიურ საწარმოო გეგმებს 200 პროცენტით ასრულებს.

## როგორ აღვკვეთოთ მარგანეცის მადნის დანაკარგები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასახა დიდი და საპატიო ამოცანა — 1960 წლისათვის 50 პროცენტით […]

[…] ფუშავს გამდიდრების ტექნოლოგიურ პროცესებს, ზრდის ლითონური მარგანეცის დანაკარგებს და კონცენტრატის თვითღირებულებას.

ამგვარად, მადნის რაოდენობ- […]

[…] მუშავების მეთოდებისა და მონგრევის ხერხის მიხედვით, დატოვებული მადნის ცალკეული სახეების გათვალისწინებით.

დანაკარგების ასეთი აღრიცხვა საშუალებას მოგვცემს სხადოს […]

[…] დემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევო ბრიგადის მიერ ჭიათურის მაღაროებში გადიდებული მოცულობის ჩამჩიანი მძლავრი სასკრეპო დანადგარის დანერგვამ […]

## ხუთსართულიანი სახლი 28 დღეში

ჩერეპოვეცი (ვოლოგდის ოლქი). (საკდესი). „ჩერეპოვეცმეტალურგსტროის" ტრესტმა დაამთავრა ჩარჩოპანელიანი კონსტრუქციის ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის საცდელსაჩვენებელი მშენებლობა (პროექტის ავტორები არიან ა. იზბაშევი და ა. პოლისოვი). ლითონის კარკასის ნაცვლად ახალ კონსტრუქციაში ძირითადია რკინაბეტონის ჩარჩოები და გარეგანი კედლები — პანელები. რადგან შიდა კედლებს დატვირთვა არა აქვთ, შემცირდა მათი სისქე, რის გამო მიღებულია დამატებითი ფართობი. ამას გარდა, შესაძლებელი გახდა ოთახთაშორისი ტიხრები დაემზადებინათ იაფფასიანი წიდა — ალებასტრის ნარევისაგან. ჭერისა და კედლის ყველა პანელი ოთახის ზომისაა.

დიდი ეფექტია მიღწეული სახლის აწყობის დროს. წინასწარ ყველა 777 რკინაბეტონის ასაწყობი ელემენტი, რომლებიც საქარხნო წესით არის დამზადებული. განლაგებული იყო ორი კოშკურა ამწის მოქმედების ზონაში. ამრიგად, სამშენებლო მოედანი გადაიქცა სამონტაჟო მოედნად. წინასწარ მომზადებული სამუშაოთა ფრონტის და შენობის კონსტრუქციის სიმარტივის მეოხებით ხუთივე სართული აწყობილია 28 სამუშაო დღეში, ამასთან მეტად მკაცრი ზამთრის პირობებში. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, თბილ ამინდში ასეთი შენობის მონტაჟი შესაძლებელია ორ კვირაში.

ახალი სახლი გამოირჩევა მარჯვე შინაგანი დაგეგმვით.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

# კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის — ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

### ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვის დასასრული

(დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 52).

სამწუხაროდ, საბჭოების სესიებზე ჯერ კიდევ საკმაოდ არ შეაქვთ კონკრეტული, სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო საქმიანი განხილვა ხშირად შეცვლილია პარადული სიტყვებით და დეკლარაციული გადაწყვეტილებების მიღებით.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ საბჭოების სესიებზე მხოლოდ კონკრეტული საკითხების დაყენება, დეპუტატთა აქტიური მონაწილეობა საკითხების მომზადებასა და განხილვაში, ნაკლოვანებათა საქმიანი კრიტიკა და შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით წახალისება, მხოლოდ ეს შექმნის იმის საფუძველს, რომ საბჭოს და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებს მიეცეს ქმედითი ძალა, უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

საბჭოების ძალაა მათი განუყრელი კავშირი მასებთან. მასებისაგან მოწყვეტით, მუშაობაში ფართო აქტივის მიუზიდავად საბჭოები წარმატებით ვერ გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

საბჭოები, გვასწავლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, — „არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა“.

მთელ სსრ კავშირში მარტო ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაშია მილიონნახევარზე მეტი დეპუტატი, რომელთა შორის 35,6 პროცენტს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. სპეციალობის მიხედვით დეპუტატთა შორის არის 37 ათასზე მეტი ინჟინერი და საშუალო ტექნიკური პერსონალის პირი, 60 ათასამდე აგრონომი, ზოოტექნიკოსი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი, დაწყებითი და საშუალო სკოლების 122 ათასი მასწავლებელი, 46 ათასი ექიმი, ფერშალი და მედიცინის სხვა მუშაკი. დეპუტატთა შორის არიან საწარმოთა ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ფერმების გამგეები, მოწინავე მუშები და კოლმეურნეები.

საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა ეს არმია უაღრესად აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოების მუშაობაში, კიდევ უფრო მტკიცედ აკავშირებდეს საბჭოთა სახელმწიფო აპარატს მშრომელთა ფართო მასებთან.

მოსახლეობასთან საბჭოების კავშირის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატების ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე. ეს კონსტიტუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მთელ რიგ შემთხვევებში არ სრულდება. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ერთი ნაწილი არ გამოდის ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშით თავისი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის შესახებ.

პარტია გვავალებს მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ დეპუტატებს მუდმივი კავშირი ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, რეგულარულად აბარებდნენ ანგარიშს მათ, განუმარტავდნენ მოსახლეობას საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და აქტიურად მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ჩვენ ყოველთვის არ ვიყენებთ კონსტიტუციის მოთხოვნას იმ დეპუტატების გაწვევის შესახებ, რომლებიც ვერ ამართლებენ ამომრჩეველთა ნდობას. ეს ერთგვარად იმით აიხსნება, რომ არ არის დეპუტატების გაწვევის შემუშავებული წესი. რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გაწვევის წესს, შესაბამისი კანონის პროექტი მომზადებულია და შეტანილ იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად, რაც ყველა დეპუტატმა კარგად უნდა დაიხსომოს. (სიცილი, ტაში).

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში უმაღლესმა საბჭოებმა თავის მხრივ უნდა მიიღონ კანონები რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების გაწვევის წესის შესახებ.

საჭიროა მივიღოთ ღონისძიებანი აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საქმიანობის გასაძლიერებლად. რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების სესიების განსახილველად უნდა დავაყენოთ რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მეტი საკითხები — სახალხო-სამეურნეო გეგმები, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მეურნეობის განვითარების, საგზაო მშენებლობის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და სხვა საკითხები.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიებზე ამ საკითხების განხილვას ადგილობრივ მუშაკთა აქტიური მონაწილეობით დიდი მნიშვნელობა ექნება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც სულ უფრო რთულდება, ხელმძღვანელი საბჭოთა პირების პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების საქმეში.

ამხ. ხრუშჩოვის წინადადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში შეიქმნას ეკონომიური კომისია, რომელიც შეისწავლის მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს და მოამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა პროექტებს ამ საკითხებზე, სავსებით სწორი და დროულია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში ასეთი კომისიის შექმნას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეროვნული რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც პარტიამ დასახა.

* * *

ამხანაგებო, საჭიროა შევეხოთ კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების ზოგიერთ საკითხს.

საბჭოთა კანონმდებლობა ყოველთვის იყო ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იმ ამოცანების შესასრულებლად საბჭოთა ხალხის მობილიზაციის საქმეში, რომლებსაც ჩვენს ქვეყანას უსახავს კომუნისტური პარტია. და ამ თვალსაზრისით შეიძლება ვილაპარაკოთ საბჭოთა კანონმდებლობის შემოქმედებითს და მამობილიზებელ ძალაზე.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები.

ამხ. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში ყრილობისადმი განაცხადა, რომ უახლოეს დროში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარდგენილი იქნება პროექტი ერთიანი სრულიად საკავშირო კანონისა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. ეს კანონი ძირეულ გაუმჯობესებას შეიტანს საპენსიო საქმეში.

გარდა ამისა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი სახავს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ ღონისძიებათა შორის დასახულია ამოცანა უზრუნველყოფილ იქნას მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდება, შვიდი საათის, ხოლო ზოგიერთი კატეგორიის მშრომელებისათვის ექვსი საათის სამუშაო დღის შემოღება ხელფასის შეუმცირებლად.

ამ დიდი ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით საჭირო იქნება დაისვას შრომის კანონმდებლობის გადასინჯვისა და მოწესრიგების საკითხი. ეს საჭიროა გაკეთდეს იმიტომაც, რომ მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა მოქმედი კოდექსები, რომლებიც მრავალი წლის წინათ არის მიღებული, მიუხედავად ბევრი დამატებისა, მაინც ვერ ასახავენ ახლა სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებებს, რომლებიც ამ დროის მანძილზე მოხდა ჩვენს სახელმწიფოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უნდა მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება, რათა დააჩქაროს სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტების მომზადება, რომლებიც არსებითად მოაწესრიგებს ჩვენს კანონმდებლობას და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი საშუალება იქნება.

ამჟამად მომზადებულია სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსების პროექტები, რომელთა ძალაში შესვლა დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებაში და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში.

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მთლიანად აღდგენილია თავის უფლებებში და გაძლიერებულია საპროკურორო ზედამხედველობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ახალი დებულება სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ. საბჭოთა პროკურატურის როლისა და ამოცანების შესახებ. ლენინურ მითითებათა შესაბამისად აგებული ეს დებულება წარმოადგენს პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ზუსტ პროგრამას, უსახავს მათ ამოცანას იყონ პრინციპულნი და შეურიგებელნი იმისათვის ბრძოლაში, რომ სსრ კავშირის ყველა დაწესებულება, თანამდებობის პირი და მოქალაქე ზუსტად იცავდეს კანონიერებას.

იმისათვის, რომ შესრულდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების შესახებ, ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად საჭიროა უდიდესი, გულმოდგინე მუშაობა ჩვენი კადრების აღზრდის, მთელ მოსახლეობაში საბჭოთა კანონების და იმის ფართო პროპაგანდის საქმეში, რომ საჭიროა ამ კანონებს ზუსტად ასრულებდეს ყველა მოქალაქე. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენს კადრებს — პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ კადრებს თავიდან ბოლომდე სწორად ესმოდეთ კანონები და განუხრელად იყენებდნენ მათ. სოციალისტური კანონიერებისათვის ბრძოლაში დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს პრესას. მას შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს და კიდევაც უნდა გააკეთოს.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ჩვენმა სახელმწიფო ორგანოებმა გააუმჯობესონ მუშაობა მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განსახილველად. თავიანთ განცხადებებში მშრომელები არა მარტო თხოულობენ დახმარებას ამა თუ იმ საქმეში, არამედ ხშირად აღნიშნავენ ნაკლოვანებებს საბჭოთა აპარატის მუშაობაში, შემოაქვთ ძვირფასი წინადადებანი ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ჩვენი დაწესებულებების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შემოწმება, რომელიც მოეწყო ადგილობრივი საბჭოების ბევრ აღმასრულებელ კომიტეტში, აგრეთვე ცალკეულ სამინისტროებში, გვიჩვენებს, რომ ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. მთელ რიგ დაწესებულებებში ირღვევა საჩივრების განხილვის კანონით დადგენილი ვადები, არ არის კონტროლი განცხადებათა მსვლელობისა და ამ განცხადებათა მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებებისადმი, განმცხადებლებს ფორმალურ პასუხს აძლევენ. ასეთი უყურადღებო, გულგრილი დამოკიდებულება მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი არყევს საბჭოთა ორგანოების ავტორიტეტს.

საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო ბიუროკრატულ დამოკიდებულებას მშრომელთა განცხადებებისადმი, გაუმჯობესდეს მუშაობა განმცხადებელთა სამართლიანი პრეტენზიების განხილვისა და დაკმაყოფილების საქმეში.

იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც წარმოშობენ მშრომელთა მრავალ განცხადებას და კანონიერ საჩივარს, მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ საბჭოთა დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, იმას, რომ საბჭოთა სახელმწიფო აპარატი მოქმედებდეს უნაკლოდ, თავის გადაწყვეტილებებს საფუძვლად უდებდეს კანონს და რომ საბჭოთა მუშაკების კადრები ყურადღებით და კეთილსინდისიერად ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას, ითვალისწინებდნენ მუშაობაში მშრომელთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

* * *

ამხანაგებო! ჩვენი პარტია და სახელმწიფო დიდ და მრავალმხრივ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ აღზარდონ საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის შეგნებულ მშენებლებად. ამ მუშაობის შედეგად განუწყვეტლივ იზრდება მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, მათი ორგანიზებულობა და დისციპლინა.

ჩვენში ბევრი რამ კეთდება მოზარდი თაობის აღზრდისათვის. საბჭოთა ახალგაზრდობა იზრდება ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, უსაზღვროდ ერთგული თავისი სახელოვანი სამშობლოსი და კომუნისტური პარტიისა. ჩვენი ახალგაზრდობა დიდი ხალისითა და ბეჯითობით შრომობს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, სხვადასხვა დაწესებულებებში, ხოლო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ყოფნისას დაუცხრომლად მუშაობს თავისი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის.

ამასთან ერთად ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ მახინჯ მოვლენებსაც, რომლებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ახალგაზრდობაში.

ეჭვი არ არის, უკანასკნელმა ომმა მთელი თავისი სიძნელეებით თავისი დაღი დაასვა ჩვენს ახალგაზრდობას. მტრის ურდოებმა გააჩანაგეს ჩვენი ქვეყნის დიდი რაიონები, აიძულეს მილიონობით მოზრდილი და ბავშვი გადაეტანათ ლტოლვილთა მძიმე ხვედრი, მილიონობით ბავშვმა დაკარგა დედმამა. ყოველივე ამას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ბევრი ჭაბუკისა და ქალიშვილის ყოფაქცევაზე, რომლებიც ბავშვობაში მოკლებული იყვნენ ოჯახის გავლენას და რომლებმაც ომის დროის უბედურება გადაიტანეს.

ჩვენში შექმნილია საბავშვო სახლების ქსელი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც დაობლდნენ ან რომლებმაც დაკარგეს თავიანთი მარჩენლები, მატერიალური დახმარება ეწევა მარტოხელა დედებს ბავშვების შენახვისათვის. მაგრამ აღმზრდელობითი მუშაობა ბევრ საბავშვო სახლში, აშკარად, არადამაკმაყოფილებელია. ბევრი ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანო საკმაოდ არ ზრუნავს დახურული საბავშვო დაწესებულებებისათვის.

ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში სავსებით სწორად არის დასმული საკითხი, რომ აშენდეს სკოლა-ინტერნატები ობლებისათვის, აგრეთვე იმ ბავშვებისათვის, რომელთა მშობლებს საშუალება არა აქვთ აღზარდონ ისინი შინ, მოეწყოს ამ სკოლებში ბავშვების ყოველმხრივი სულიერი და ფიზიკური აღზრდა.

ჩვენი სკოლა — საშუალოც და უმაღლესიც, მთელი ჩვენი პროპაგანდა დეტალურად განმარტავს საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ უფლებებს, მაგრამ, როგორც ჩანს, საკმარისად არ აღნიშნავს ამასთან ერთად საბჭოთა ადამიანის მოვალეობებს და ყველაზე არსებითს მოვალეობას — პატიოსნად იშრომოს.

რასაკვირველია, ჩვენ არა მარტო უნდა განვუმარტავდეთ საბჭოთა ახალგაზრდობას, რომ იგი მოვალეა მთელ ხალხთან ერთად პატიოსნად და შეგნებულად შრომობდეს კომუნიზმის აშენებისათვის. საჭიროა მუდამ, უნარიანად ვასწავლიდეთ ამას ჩვენს ახალგაზრდობას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა და მთელი საბჭოთა ხალხიც მთლიანად წერა-კითხვის მცოდნე, განათლებული იყოს. მეექვსე ხუთწლედში განათლება ჩვენში ისეთ დონესა და გაქანებას მიაღწევს, რაც უმაგალითოა ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პირობებშიც კი. ჩვენს ქვეყანაში ძირითადად განხორციელდება საყოველთაო საშუალო განათლება.

მაგრამ საშუალო სკოლაში განათლების დაყენების მხრივ დიდი ნაკლი გვაქვს. საშუალო სკოლიდან ახალგაზრდებს ისე ვუშვებთ, რომ ისინი საკმაოდ მომზადებული არ არიან პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ჩვენ კი მთელ ჩვენს ახალგაზრდობას უნდა ჩავუნერგოთ შრომის პრაქტიკული ჩვევები და არა უბრალო შრომის, არამედ თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნიკაზე დაფუძნებული შრომის ჩვევები. ახლა, როცა ჩვენი სახალხო მეურნეობა აღჭურვილია ახალი რთული ტექნიკით, საშუალო განათლება სულ უფრო მეტად ხდება საჭირო არა მარტო ოსტატისათვის, არამედ თვითეული მუშისთვისაც.

ამიტომ ამოცანას, რომ მთელ მოზარდ თაობას ვასწავლიდეთ იმას, თუ როგორ გამოიყენოს პრაქტიკულად ცხოვრებაში, სახალხო მეურნეობაში თავისი ცოდნა, დიდი აღმზრდელობითი და სახალხოსამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

თავის დროზე ეს ამოცანა დასახა ვ. ი. ლენინმა. მიმართავდა რა კომკავშირის III ყრილობის მონაწილეებს 1920 წლის 2 ოქტომბერს, იგი ამბობდა:

„თქვენს წინაშე დგას მთელი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ამოცანა, რეორგანიზაცია, აღდგენა მიწათმოქმედებისაც და მრეწველობისაც თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას, ტექნიკას, ელექტრობას ეყრდნობა. თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ელექტროფიკაციისათვის წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი არ გამოდგება, და აქ უბრალო წერა-კითხვის ცოდნა არ კმარა. აქ საკმარისი არაა იცოდეთ, თუ რა არის ელექტრობა; უნდა იცოდეთ, ტექნიკურად როგორ გამოიყენოთ იგი მრეწველობაშიც, მიწათმოქმედებაშიც, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ცალკეულ დარგებშიც. ეს თვითონ უნდა ისწავლოთ, ეს უნდა ასწავლოთ მთელ მოზარდ მშრომელ თაობას“.

პარტიამ, როგორც ცნობილია, თავის XIX ყრილობაზე დასახა ამ ამოცანის გადაჭრის გზა — სკოლის პოლიტექნიზაციის გზა. მაგრამ პრაქტიკულად ამ დარგში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. რუსეთის სფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა უახლოეს დროში შეასრულონ კომუნისტური პარტიის დირექტივები სკოლების პოლიტექნიზაციის შესახებ. ეს საქმე იმდენად სერიოზული და საჭიროა, რომ მისი შემდგომი გაჭიანურება სრულიად შეუწყნარებელია. ამ ამოცანის სრული და გონივრული გადაჭრა დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ახალგაზრდობის სწორ აღზრდაში, იმაში, რომ თვითეული ქალიშვილი და ჭაბუკი მოვამზადოთ კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური და უნარიანი მონაწილეობისათვის.

ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში უდიდეს შესაძლებლობებს, ყოველგვარი ღონისძიების დაუშრეტელ რეზერვებს შეიცავს ჩვენი მრავალმილიონიანი ლენინური კომკავშირი.

ამავე დროს კომკავშირის აღმზრდელობით მუშაობას სკოლაში, წარმოებაში, დაწესებულებებში ახლა ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს და ამოიწურება ზოგადი ლაპარაკით კომუნიზმის შესახებ, ტრაფარეტული და ცხოვრების საარსებო საკითხებს მოწყვეტილი გამოსვლების შედგენით. ღონისძიებათა დაუსრულებელ გეგმებში იკარგება ცოცხალი საქმე.

კომკავშირმა უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა და მთლიანად უზრუნველყოს მთელი ჩვენი ახალგაზრდობის ნამდვილად კომუნისტური აღზრდა.

რაც შეეხება პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ისინი თავიანთ მონაწილეობას ახალგაზრდობის აღზრდაში ბევრ შემთხვევაში ამოწურავენ სახსრების გამოყოფით კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობისათვის. ეს ცოტაა, ამხანაგებო, ძალიან ცოტა!

ამჟამად კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ხშირად ვერ ახერხებენ და არც ცდილობენ ისწავლონ, რომ კარგად მოაწყონ ახალგაზრდობის დასვენება, სწორ კალაპოტში ჩააყენონ მისი მჩქეფარე ენერგია. ეს ენერგია, ბუნების ჯილდო, საკმაოდ არ არის გამოყენებული ახალი ტექნიკისა და აგროტექნიკის შესწავლისათვის, მასობრივი სპორტული შეჯიბრებებისათვის, ახალგაზრდობის ძალებით სპექტაკლების, მასობრივი თამაშის და გუნდების გამოსვლების მომზადებისათვის, კულტურის სასახლის ან კლუბის მორთვისათვის, იქ სისუფთავისა და წესრიგის დაცვისათვის. ბევრ შემთხვევაში კი საჭიროა მოეწყოს ბაღებიც და ყვავილნარებიც.

განა ცოტა რამის გაკეთება შეიძლება, როცა სურვილია, თუ ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ნამდვილად იგრძნობენ პასუხისმგებლობას და, მე ვიტყოდი, სიყვარულს თავიანთი ამხანაგებისა და ძმებისადმი, რომლებიც ხშირად მათი ყურადღების გარეშე რჩებიან.

მაგალითად, ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ სპორტზე, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ ნამდვილი მასობრივი სპორტისაგან, რომელიც მართლაც შევიდოდა ხალხის ყოფაცხოვრებაში. ხალხის, და პირველ რიგში ახალგაზრდობის, ფიზიკურ აღზრდას უაღრესად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენი ახალგაზრდობა მიიღებს და უკვე იღებს უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ყოველ სასარგებლო ღონისძიებაში, თუ ამ საქმეს ხელს მოვკიდებთ ჯეროვნად, სიყვარულით, მგზნებარედ.

ცხადია, რომ ახალგაზრდობის აღზრდა სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს ყველა მიმართულებით, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ რგოლში, აგრეთვე აუცილებლად ოჯახშიც.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, განათლების მუშაკები, მშობლები მტკიცედ და თანმიმდევრულად უნდა უნერგავდნენ ბავშვებს, თვითეულ ახალგაზრდას სოციალისტურ დამოკიდებულებას, ესე იგი სიყვარულს შრომისადმი და პატივისცემას სოციალისტური საერთო ცხოვრების კანონებისა და წესებისადმი. ამასთან ერთად ყოველი ღონისძიებით უნდა ვაძლიერებდეთ და ვაუმჯობესებდეთ ახალგაზრდობაში მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას, თეორიისა, რომელიც დიდ როლს ასრულებს კომუნიზმის დიდად შეგნებული მშენებლების აღზრდაში.

კომუნისტები და კომკავშირელები გვერდს ვერ აუვლიან ზოგიერთი ახალგაზრდის არასწორ ქცევას ყოფაცხოვრებაში, საზოგადოებრივ ადგილებში. არ შეიძლება არც ერთი ანტისაზოგადოებრივი საქციელი დავტოვოთ ისე, რომ არ გავარჩიოთ და არ გამოვუტანოთ საზოგადოებრივი გაკიცხვა.

ჩვენი ახალგაზრდობა მოელის საბჭოთა მწერლებისაგან, კინოს და თეატრის მუშაკებისაგან ახალ კარგ ნაწარმოებებს, ფილმებს, დადგმებს, რომლებიც გაიტაცებენ მას, წაიყვანენ წინ, აღზრდიან ჩვენი დიადი დროის გმირებს, ხელს შეუწყობენ უცხო ჩვევების აღმოფხვრას, რომლებიც ჯერ კიდევ არის საბჭოთა ახალგაზრდობის ერთ, თუმცა უმნიშვნელო ნაწილში.

ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც აღზრდიან ჩვენს ახალგაზრდობას იდეურად და ფიზიკურად გამოწრთობილს, რომელსაც უნარი ექნება ეუფლებოდეს მეცნიერების მწვერვალებს და სრულყოფილად ფლობდეს ახალ ტექნიკას, არ ეშინოდეს სიძნელეებისა, არამედ უნარი ჰქონდეს გადალახოს ისინი, არ ეშინოდეს ახალშენებებზე დაძაბული მუშაობისა, არ გაურბოდეს ნამდვილ მუშურ შრომას.

ჩვენ არ უნდა დავიშუროთ ძალები ამ დიდი საქმისათვის, რადგან ახალგაზრდობის სწორი აღზრდა კომუნიზმის მშენებლობაში ჩვენი შემდგომი წარმატებების საწინდარია. (ხანგრძლივი ტაში).

* * *

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილი მონაცემები და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების გამოქვეყნებული პროექტი მკაფიოდ მოწმობენ იმ დიდ გამარჯვებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, და კომუნიზმისაკენ ჩვენი სამშობლოს წინსვლის შესანიშნავ პერსპექტივებს.

ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად — გვაქვს მძლავრი სახალხო მეურნეობა, გვყავს შრომისმოყვარე ხალხი, გამოცდილი კადრები, გვაქვს ბრძოლის მიზნებისა და მათი მიღწევის გზების ცოდნა. ახლა მთელი საქმე ის არის, რომ ჩვენ ყველამ, ხელმძღვანელმა მუშაკებმაც და რიგითმა კომუნისტებმაც, უკეთ ვიმუშაოთ და მთლიანად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი და სოციალისტური წყობილების უპირატესობანი, განუწყვეტლივ ვიმაღლებდეთ ცოდნას და ვზრდიდეთ საბჭოთა ხალხს საზოგადოებრივი შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით, კომუნიზმის დიადი იდეების სულისკვეთებით.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენი სახელოვანი პარტია და მის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი, გმირი ხალხი, კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ძალით გააჩაღებენ თავიანთ შემოქმედებითს საქმიანობას და მიაღწევენ ახალ შესანიშნავ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის, მთელ მსოფლიოში ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის, ყველა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, ჩვენი დიდი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს კომუნისტურ და ყველა სხვა მოძმე პარტიებს, რომლებიც ჩვენთან ერთად თავდადებით იბრძვიან მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

# კამათი ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო: სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

## ამხანაგ ნ. ი. ბელიაევის სიტყვა

ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდში ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩვენი ქვეყანა მიჰყავდა ახალ და ახალ გამარჯვებათა მისაღწევად, მაღლა ეპყრა უკვდავი ლენინის დიადი დროშა.

ამ დროშისადმი ერთგულებამ, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების უაღრესად მტკიცედ დაცვამ, ხალხთან პარტიის კავშირის მუდმივმა გაფართოებამ საშუალება მისცა ცენტრალურ კომიტეტს მოეპოვებინა ყველა ის უდიდესი წარმატება, რომლებითაც პარტია და ჩვენი ქვეყანა შეხვდნენ ამ XX ყრილობას. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს კომუნიზმისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის ისტორიაში და დიდი წვლილი იქნება მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია მარქსისტული თეორიის უმნიშვნელოვანეს პრინციპულ დებულებათა შემოქმედებითი განვითარება ახალ ისტორიულ პირობებში.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში მშრომელთა ფართო მასებისათვის გასაგებად და ნათლად გაშუქებულია მსოფლიო განვითარების ურთულესი საკითხები, იგი შეიცავს მხურვალე მოწოდებას ყველა ხალხთა შორის მეგობრობისადმი, მასში მოცემულია სოციალიზმის ძალების ძლევამოსილი წინსვლის წარმტაცი პერსპექტივები. ეს მოხსენება აიარაღებს მშვიდობისათვის მებრძოლ მილიონობით ადამიანს იმის დიდი რწმენით, რომ შესაძლებელია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება.

XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომლებიც ამხ. ნ. ა. ბულგანინმა მოახსენა ყრილობას, კონკრეტულად გამოხატავენ კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანეს პროგრამულ დებულებებს უახლოესი პერიოდისათვის. ისინი პირველი სტრიქონიდან უკანასკნელ სტრიქონამდე გამსჭვალულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მიზნებით და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით.

ახალ ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია მძიმე მრეწველობის — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უპირატესი განვითარება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების იმ მოცულობის შესრულება, რომელსაც დირექტივების პროექტი ითვალისწინებს, უშუალოდ მიგვაახლოებს მოსახლეობისათვის ძირითადი პროდუქტების და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნასთან. ახალი ხუთწლიანი გეგმა ხელს შეუწყობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას, სხვა ქვეყნებთან საქმიანი კავშირის გაფართოებას თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები, რომლებიც დასახულია ახალი ხუთწლიანი გეგმით, მაღალია, მაგრამ უთუოდ რეალურია, და მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ვადამდე შესრულდება. არავითარი ეჭვი არ არის, რომ დირექტივებს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ერთსულოვნად მოიწონებს ჩვენი პარტიის XX ყრილობა, ისევე როგორც ეს დირექტივები უკვე ერთსულოვნად მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა. (ტაში).

## I.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებში მოცემულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული დახასიათება, გამოაშკარავებულია დიდი შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც დაშვებული იყო სოფლის მეურნეობაში 1953 წლამდე, და დასახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის მთავარი მიმართულება.

„ჩვენი მთავარი ამოცანა მიწათმოქმედების დარგში, — როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, — ის არის, რომ მოსავლიანობის გადიდებისა და ახალი მიწების შემდგომი ათვისების საფუძველზე მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეულის ყოველწლიური საერთო მოსავალი გავადიდოთ 11 მილიარდ ფუთამდე, გავადიდოთ ტექნიკური კულტურების — ბამბის, შაქრის ჭარხლის, სელის, კანაფის, მზესუმზირას ფართობები და მნიშვნელოვნად ავამაღლოთ მათი მოსავლიანობა, აგრეთვე მკვეთრად გავადიდოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება".

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტში განსაზღვრულია გადიდდეს ნედლი ბამბის წარმოება 56 პროცენტით, სელის ბოჭკოს წარმოება — 35 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 54 პროცენტით, კარტოფილისა — 85 პროცენტით, ბოსტნეულისა — 2,2-ჯერ, ხორცისა და რძისა — 2-ჯერ, კვერცხისა — 2,5-ჯერ და მატყლისა — 1,8-ჯერ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ასეთი დიდი ზრდის განსახორციელებლად ჩვენ მოგვეპოვება ყველა შესაძლებლობა: სოფლად მეურნეობის სოციალისტური ფორმის განუყოფელი გაბატონება, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განვითარებული ქსელი, მძლავრი მოწინავე სოციალისტური მრეწველობა, რომელიც პირველხარისხოვანი ტექნიკით აიარაღებს სოფლის მეურნეობას, ასეულ ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი და ორგანიზატორი სოფლის მეურნეობაში.

საბჭოთა სახელმწიფომ მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებებზე დახარჯა 63,6 მილიარდი მანეთი, რაც 7-ჯერ მეტია, ვიდრე პირველ ხუთწლედში, და 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე მეოთხე ხუთწლედში. მეექვსე ხუთწლედში, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მონაცემებით, სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებანი თითქმის 2-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში, 5-ჯერ მეტი, ვიდრე მეოთხე ხუთწლედში, და თითქმის 14-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ ხუთწლედში.

ზემოჩამოთვლილი ყველა პოლიტიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური და მატერიალური პირობების ერთობლიობა, თუ მათ მთლიანად გამოვიყენებთ, საშუალებას მოგვცემს, ამხანაგებო, მეექვსე ხუთწლედის დავალებანი სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ უფრო მოკლე ვადებში. არა მარტო ცალკეული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, რაიონები, არამედ მთელი ოლქები და რესპუბლიკებიც კი, როგორც ეს განაცხადეს ამ ყრილობაზე გამოსულმა მთელმა რიგმა ამხანაგებმა, კისრულობენ ვალდებულებას ერთ-ორ წელიწადში შეასრულონ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დავალებანი, რომლებიც დაწესებულია ხუთწლედისათვის.

ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების დიდ შესაძლებლობებს მოწმობს ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად გაწეული გიგანტური მუშაობა. 1956 წელს უკანასკნელ 2 წელიწადში მოხნული ახალი მიწების ნათესები იქნება სულ ცოტა 33 მილიონი ჰექტარი, აქედან საბჭოთა მეურნეობებში 13 მილიონ ჰექტარზე მეტი. ამ ჭეშმარიტად დიდ სამუშაოთა გაქანება რომ ღირსეულად შევაფასოთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ნათესი ფართობების ზრდა 12 წელიწადში — 1928 წლიდან 1940 წლამდე, შესადარი ტერიტორიით, შეადგენდა 23,5 მილიონ ჰექტარს, ხოლო ახალმოხნულ ყამირ მიწებზე საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობები 1956 წელს აღემატება საბჭოთა მეურნეობების 1940 წლის მთელ ნათეს ფართობს.

სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა რაც შეიძლება მოკლე ვადებში შესრულება ხალხში ჩვენი ორგანიზაციულ-პარტიული და პროპაგანდისტული მუშაობის შინაარსის მთავარი ნაწილი უნდა იყოს.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და ვადამდე შესრულებისათვის ჩვენს მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი იმ დიდი რეზერვების გამოვლინებასა და სრულად გამოყენებას, რომლებიც სოფლის მეურნეობაში მოგვეპოვება და რომლებსაც ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ. ავიღოთ, მაგალითად, დანაკარგებთან ბრძოლა მოსავლის აღების დროს. დანაკარგების თავიდან აცილების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა მოსავლის აღების მოწყობა მოკლე ვადებში, სულ ბევრი 7—10 სამუშაო დღეში პურეულის შემოსვლის დაწყებიდან. მაგრამ ბევრი კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა მარცვლეულ კულტურებს იღებს 15-20 და მეტ დღეში. და ამიტომ, როგორც წესი, თვითეულ ჰექტარზე ორ-სამ ცენტნერს და მეტს კარგავს.

მოსავლის აღების ვადებისა და მარცვლეულის დანაკარგების შემცირება შეიძლება პურეულის ცალცალკე აღებით. ჯერ კიდევ 1931-1932 წლებში სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა და ბევრი საბჭოთა მეურნეობის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ პურეულის აღება ცალცალკე აღების წესის დროს შეიძლება დაიწყოთ ცვილისებრ სიმწიფეში, ჩვეულებრივ ვადაზე 5-7 დღით ადრე, და ამით ჰექტარზე ორი და მეტი ცენტნერით გავადიდოთ მარცვლეულის მოსავალი. და აი, მიუხედავად პურეულის ცალცალკე აღების დიდი უპირატესობისა, სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები 20 წელზე მეტ ხანს ჩქმალავდნენ ამ პროგრესულ წესს და არ ხდიდნენ მას ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კუთვნილებად. მხოლოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ, რომელზეც განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა მოსავლის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, პრაქტიკულ რელსებზე დავაყენეთ პურეულის ცალცალკე აღების საკითხი.



1955 წელს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გაკეთდა კომბაინის ხედერის 50 ათასი ლაფეტი და 85 ათასი შემგროვებელი, ცალცალკე აღებულ იქნა მოსავალი 1 მილიონ 700 ათას ჰექტარზე, რაც შეადგენს მარცვლეული კულტურების მოსავლის ასაღები ფართობის ორ პროცენტზე ნაკლებს. ცალცალკე აღებას ყველაზე ფართოდ იყენებდნენ ბელგოროდის, კუიბიშევის, ლიპეცკის, ულიანოვსკის, ბალაშოვის, ვორონეჟის ოლქების კოლმეურნეობებში, სადაც ცალცალკე აღებულია პურეულის მთელი ასაღები ფართობის 8-14 პროცენტი. მაგრამ ისეთ ოლქებს, როგორიც მოლოტოვის, კემეროვოს, ტიუმენის, არზამასისა და მთელი რიგი სხვა ოლქებია, შარშანაც არ უწარმოებიათ ცალცალკე აღება.

1955 წელს მარცვლეული კულტურების მთელი ნათესი ფართობიდან ცალცალკე რომ აგვეღო მარტო 25 პროცენტი და მიგვეღო მოსავლის მარტო 2 ცენტნერით მატება ცალცალკე აღებულ თვითეულ ჰექტარზე, დამატებით მივიღებდით 350 მილიონ ფუთზე მეტ პურს.

პურეულის ცალცალკე აღების პროგრესული წესის ფართოდ გავრცელება, რა თქმა უნდა, მოითხოვს არა მარტო იმას, რომ ეს წესი ჯეროვნად დაფასდეს, არამედ იმასაც, რომ გარკვეული ტექნიკური საშუალებანი შეიქმნას ცალცალკე აღების მოსაწყობად. მაგრამ ახლა მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოეპოვებათ პურეულის ცალცალკე ასაღები მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მარცვლეული კულტურების სულ ბევრი 5-6 მილიონ ჰექტარ ფართობს, ანუ 4-5 პროცენტს, რაც სრულიადაც არ არის საკმარისი. იმისთვისაც კი, რომ დავაკმაყოფილოთ ოლქების მინიმალური მოთხოვნილებანი მანქანებზე, მისაბმელ კომბაინებზე, სოფლის მეურნეობას იმის დამატებით, რაც დაგეგმილია, 1956 წლის მოსავლის ასაღებად ესაჭიროება სულ ცოტა 100 ათასი სამკალი მანქანა და 150 ათასი შემგროვებელი.

ამიტომ საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ სამკალი და შემგროვებელი მანქანების გამოშვება, რათა 1956 წელს მეტი ტექნიკური საშუალებანი გვქონდეს მოსავლის ცალცალკე აღების მოსაწყობად.

მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების ძირითადი რეზერვია, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, სიმინდის ნათესების გაფართოება. ახლა უკვე ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის მრავალი ასეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებმაც, შეცვალეს რა ნათესი ფართობების სტრუქტურა და გააფართოეს რა სიმინდის ნათესები, მოკლე ვადაში გაადიდეს მარცვლეულის საერთო მოსავალი, შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა და ამ საფუძველზე მკვეთრად აამაღლეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რითაც გაზარდეს თავიანთი შემოსავალი და გააუმჯობესეს კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობა.

1955 წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაითესა დაახლოებით 18 მილიონი ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 1954 წლის 4,3 მილიონი ჰექტარისა. ამან შესაძლებელი გახადა გასულ სასოფლო-სამეურნეო წელს 17 მილიონი ტონით მეტი სილოსის ჩადება, მათ შორის 6 მილიონ ტონაზე მეტი დაკონსერვებული ტაროსი, აგრეთვე კონცენტრირებული საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

1955 წელს უკრაინის სსრ კოლმეურნეობებში სიმინდის ნათესების გაფართოებამ შესაძლებელი გახადა ჩაედოთ საშუალოდ ერთ ძროხაზე 6 ტონაზე მეტი სილოსი და 1 დედალორზე 43 ცენტნერი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტარო. ვორონეჟისა და ბელგოროდის ოლქების კოლმეურნეობებში დამზადებულია 40 ცენტნერი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტარო თითო დედალორზე. მაგრამ იმ ოლქებში, სადაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა, ხოლო მათთან ერთად მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ჯეროვნად არ შეისწავლეს სიმინდის თავისებურებანი, დაუდევრად მოეკიდნენ სიმინდის დასათესი ნაკვეთების შერჩევას, შაბლონურად მოიქცნენ თესვის ვადების განსაზღვრისა და ნათესის მოვლაში, ხოლო რაც მთავარია, არ დარაზმეს და არ მოამზადეს ადამიანები სიმინდის მოყვანის სამუშაოთა შესასრულებლად, რა თქმა უნდა, სიმინდის მცირე მოსავალი მოვიდა.

ულიანოვსკის, პენზის ოლქებისა და მორდვეთის ასსრ ნიადაგისა და ჰავის პირობები საშუალებას გვაძლევს როგორც სასილოსე, ისე სამარცვლე სიმინდის კარგი მოსავალი მოვიყვანოთ. მაგრამ 1955 წელს ამ ოლქებში მოვიდა სიმინდის მწვანე მასის მცირე მოსავალი, ხოლო რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტარო სულაც არ მიუღიათ. ამის გამო პენზის ოლქის კოლმეურნეობებში სასილოსე მასა ჩადებულია სულ 24 ცენტნერი ჰექტარ სიმინდის ნათესზე, ულიანოვსკის ოლქში — 29 ცენტნერი და მორდვეთის ასს რესპუბლიკაში — 37 ცენტნერი. და ეს მაშინ, ამხანაგებო, როცა ამ ოლქებისა და რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებმა სიმინდის მწვანე მასისა და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტაროს უხვი მოსავალი მოიყვანეს.

ვერასგზით ვერ შევურიგდებით იმას, რომ საქართველოს სსრ და უზბეკეთის სსრ კოლმეურნეობებმა 1955 წელს სიმინდის მცირე მოსავალი მოიყვანეს, თუმცა იქაური ნიადაგისა და ჰავის პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია სიმინდის მარცვლისა და სასილოსე მასის მყარი უხვი მოსავლის მოსაყვანად. ამასთანავე აქ ამ ძვირფასი კულტურის მოყვანის მრავალი წლის გამოცდილება აქვთ.

1956 წელს სიმინდის ფართობები გადიდდება. ამოცანა ის არის, რომ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოვამზადოთ კადრები, რომლებიც სრულყოფილად იქნებიან დაუფლებული სიმინდის მოყვანის აგროტექნიკას, რაც საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანა.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წყაროა ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად შემოვიღოთ მისი ჰიბრიდული თესლის თესვა. უკვე მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო, საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ, რათა შეარჩიონ ჰიბრიდული თესლის გამომყვანი მეურნეობანი, შეაიარაღონ ისინი საჭირო ტექნიკით, აგრეთვე მოაწყონ ახალი ჰიბრიდების გამოყვანისა და არსებულთა გამრავლების მეთოდების ფართო მეცნიერული დამუშავება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია ტექნიკური კულტურების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდება. შაქრის ჭარხლის ფართობი უახლოეს წლებში უნდა ავიყვანოთ სულ ცოტა 2,5-2,6 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი დაახლოებით 500 მილიონ ცენტნერამდე, რაც საშუალებას მოგვცემს შაქრის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გავადიდოთ თითქმის ერთიორად.

ამ პროგრამის განხორციელება მოითხოვს შაქრის ჭარხლის ნათესების გაფართოებას და მოსავლიანობის გადიდებას მისი მოყვანის ძირითად რაიონებში, აგრეთვე შაქრის ჭარხლის წარმოების მოწყობას მთელ რიგ ახალ რაიონებში, უმთავრესად რუსეთის ფედერაციის ოლქებში. საჭიროა გავაუმჯობესოთ მტს-ებისა და კოლმეურნეობების აღჭურვა შაქრის ჭარხლის სათესი, ნათესების დასამუშავებელი, მოსავლის ასაღები და სატვირთავი მოწინავე ტექნიკით, აგრეთვე მნიშვნელოვნად გავადიდოთ მინერალური სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების მიწოდება მეჭარხლეობის რაიონებისათვის.

შაქრის ჭარხლის გამოზიდვის დროს შრომის დანახარჯების შემცირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციას. მე ვიყავი ტამბოვის ოლქის კოლმეურნეობებში შარშან შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების პერიოდში, და კოლმეურნე ქალები აცხადებდნენ: კარგი მანქანაა ჭარხლის ასაღები კომბაინი, მაგრამ საჭიროა კიდევ გვქონდეს „მექანიზებული გლეხი", რათა შაქრის ჭარხლის დატვირთვაში გვეხმარებოდესო. შაქრის ჭარხლის სატვირთავი მექანიზმების წარმოება ჩვენი მრეწველობის გადაუდებელი ამოცანაა.

შაქრის ჭარხლის წარმოების გაფართოება, ახალ რაიონებში მისი გავრცელება მოითხოვს შაქრის ახალი ქარხნების, აგრეთვე გზების მშენებლობას ჭარხლის სათეს ზონებში. ახალი ქარხნების დაპროექტებისა და მშენებლობისას საჭიროა, რომ ამ ქარხნების სიმძლავრე განისაზღვროს ნედლეულის ზონების რაციონალური რადიუსის შესაბამისად. ახალი ქარხნების მშენებლობა უნდა განხორციელდეს მოკლე ვადებში, რადგან არ შეიძლება დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, როგორიც ამ უკანასკნელ წლებში შეიქმნა კრასნოდარის მხარეში, სადაც შაქრის ჭარხლის ნათესები გაფართოვდა 17-დან 37 ათას ჰექტარამდე, ხოლო ამ ჭარხლის გადამუშავება უზრუნველყოფილი არ იყო. ამის შედეგად კრასნოდარის მხარეში მოყვანილი შაქრის ჭარხლის მნიშვნელოვან ნაწილს გადასამუშავებლად ეზიდებოდნენ უკრაინის სსრ, ვორონეჟისა და სხვა ოლქების ქარხნებში, რაც იწვევდა შაქრის უდიდეს დანაკარგებს, სახელმწიფო სახსრების ზედმეტ ხარჯვას და ტრანსპორტის არარაციონალურ დატვირთვას.

ღონისძიებებმა, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის და მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებისათვის, უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. განვლილ 1955 წელს სახელმწიფომ დაამზადა გაცილებით მეტი რძე, ხორცი, კვერცხი და მატყლი, ვიდრე 1954 წელს. მაგრამ მშრომელთა მატერიალური პირობები განუწყვეტლივ უმჯობესდება და მათი სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე ჯერჯერობით მთლიანად ვერ კმაყოფილდება. ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა დასახული ამოცანა, რომ გავადიდოთ ხორცის წარმოება უწინარეს ყოვლისა მეღორეობის განვითარებით, რომელიც მეცხოველეობის ყველაზე მალემზარდი დარგია, და ღორის ხორცის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის ხორცის წარმოების საერთო მოცულობაში ავიყვანოთ 50 პროცენტამდე.

ღორის ხორცის წარმოება ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მეტად ნელა იზრდება. ჩვენ უნდა მივიღოთ სულ ცოტა 30 ცენტნერი ღორის ხორცი 100 ჰექტარ ხნულზე, ხოლო ვიღებთ გაცილებით ნაკლებს.

ღორის ხორცის წარმოების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიძლება ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ ბევრგან მეღორეობას, მეტი რომ არა ვთქვათ, გონივრულად არ ეკიდებიან, არ იღებენ საკმაო ღონისძიებებს, რათა სავსებით უზრუნველყონ მეღორეობა საკვებით, სადგომებით, ეურიგდებიან ღორების დიდ სიკვდილიანობას. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მიზეზით არსებითად აირია ღორების გასუქების საკითხი, როცა კოლმეურნეობებისაგან და საბჭოთა მეურნეობებისაგან მოითხოვდნენ უმთავრესად საქონე და ნახევრადსაქონე ღორების ჩაბარებას, უგულებელყოფდნენ რა ყველაზე სწრაფი და იაფი სახეობის — სახორცე და საბეკონე ღორის გასუქებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოასწორეს სასოფლო-სამეურნეო ორგანოების შეცდომა. ახლა დასახულია ამოცანა უფრო სრულად გამოვიყენოთ მეღორეობა როგორც მძლავრი რეზერვი, რათა მოკლე ვადებში მკვეთრად გავადიდოთ ღორის ხორცის წარმოება ჩვენს ქვეყანაში.

ღორის ხორცის წარმოება 1960 წლისათვის 1955 წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 2,6-ჯერ, ხოლო კოლმეურნეობებში — 5,5-ჯერ და ხორცის წარმოების საერთო ბალანსში უნდა შეადგინოს დაახლოებით 50 პროცენტი.

დაწყებული 1956 წლით დიდი მუშაობა უნდა განვახორციელოთ ღორის მასობრივი გასუქების მოსაწყობად, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ მთელი მოზარდეული — ზამთრისა და გაზაფხულის გოჭები. ღორის გასუქების საქმეს განსაკუთრებული კონტროლი უნდა გავუწიოთ. ამჟამად ოლქებისა და რაიონების ზოგიერთი ხელმძღვანელი ბევრს ლაპარაკობს ღორის გასუქებაზე, მაგრამ არავითარ ღონისძიებას არ იღებს, რომ კოლმეურნეობებში შეინარჩუნონ ზამთრის გოჭები. როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის, რომ რსფსრ 78 ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ა. წ. 1 თებერვლისათვის ასუქებდნენ მხოლოდ 900 ათას ღორს, მაშინ როცა უკრაინის კოლმეურნეობებში — 1 მილიონ 650 ათას ღორს, ანუ თითქმის ერთიორად მეტს.

## II.

სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლი იყო ის, რომ ჩვენ მთლიანად ვერ ვიყენებდით სოციალისტური სისტემის უპირატესობებს, ხოლო ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ხშირად ადგილებზე ღრმად არ სწვდებოდნენ სოფლად მიმდინარე პროცესების არსს, და ზოგჯერ მუშაობას ისე აწყობდნენ, რომ იგი არ შეესაბამებოდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაძღოლის ობიექტურ მოთხოვნებს. ჩვენში სუსტად განაზოგადებდნენ მეურნეობის განვითარებაში წარმოშობილ მოვლენებს, ხოლო ჩვენი მეცნიერები, და უწინარეს ყოვლისა ეკონომისტები, მეტს წერდნენ და ლაპარაკობდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების უპირატესობებზე და ძალიან ცოტას მუშაობდნენ იმაზე, თუ რა გზით შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს უპირატესობანი პურის, ხორცის, რძის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოების გასადიდებლად ჩვენს ქვეყანაში.

ყოველივე ეს აფერხებდა სოფლის მეურნეობის ზრდას, რადგან მოძველებულს არ ააშკარავებდნენ და არ აღმოფხვრიდნენ, ხოლო განვითარების მოთხოვნილებებიდან წარმოშობილი ახალი, პროგრესული ზოგჯერ ვერ პოულობდა დროულ და ჯეროვან მხარდაჭერას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გადაწყვეტილებებში ცხოვრების ყველა მხარის ღრმა ანალიზის საფუძველზე მოცემულია შემოქმედებითი განვითარება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლის გზების შესახებ. ამ გადაწყვეტილებებში პარტიამ ლენინურად გამოააშკარავა ყოველივე ის, რაც თანამედროვე პირობებში ხელს უშლის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა გამოყენებას, და შეაიარაღა ჩვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით.

ჩვენი ქვეყნის განვითარების მსვლელობაში წარმოიშობოდა და შემდეგშიც წარმოიშობა საკითხები, რომლებიც მოითხოვენ შესწავლას, ღრმად განზოგადებასა და გადაწყვეტას. და აქ დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა ეკონომიურმა მეცნიერებამ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების უაღრეს გადიდებას უნდა მივაღწიოთ არა ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით, არამედ პროდუქციის ერთეულზე რაც შეიძლება ნაკლები შრომისა და სახსრების დახარჯვით. ყველაზე დიდ საკითხთა რიცხვს, რომლებიც ჩვენ სწორად და სწრაფად უნდა გადავჭრათ, ეკუთვნის საკითხები სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგების სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული განაწილებისა და სპეციალიზაციისა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიური ზონების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლისათვის საჭიროა ყოველ ცალკეულ ზონაში ვთესოთ ის კულტურები და მოვაშენოთ ის ცხოველები, რომლებიც ყველაზე მეტ პროდუქტიულობას იძლევიან მოცემულ ბუნებრივ პირობებში. ამასთან საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ ადგილობრივი მოსახლეობის გამოცდილება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანასა და ცხოველების მოშენებაში.

მაგალითად, ცნობილია, რომ რუსეთის სფსრ ჩრდილო-დასავლეთ ოლქებში ხელსაყრელი პირობებია სელის, კარტოფილისა და რძის პროდუქციის წარმოებისა სამყურის თესვის და სიმინდის წარმოების გადიდების ბაზაზე. მაგრამ ამ ოლქებში დაშვებული იყო საბოჭკოე სელის, სამყურის, კარტოფილის ნათესების შემცირება და შემცირდა რძის წარმოება. ამავე დროს აქ გაფართოვდა ნათესები საგაზაფხულო ხორბლისა, რომელიც იქ უხვ მოსავალს არ იძლევა. კრასნოდარის მხარეში სიმინდის წარმოების გადიდების ბაზაზე მეღორეობის განვითარების განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია.

ზოგიერთი აგრარიკოსი ეკონომისტი, რომლებიც მოწყვეტილი არიან კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველდღიურ პრაქტიკას, არ მუშაობდა კონკრეტულ ეკონომიკაზე, არ სწავლობდა მეურნეობის ცალკეული დარგების ეკონომიურ ეფექტიანობას, ეკონომისტების ნაწილი უარყოფდა კოლმეურნეობებში ღირებულების კანონის მოქმედებას; ასეთ ამხანაგებს მიაჩნდათ, რომ საკოლმეურნეო მეურნეობაში შეუძლებელია პროდუქციის თვითღირებულების გამოანგარიშება და დროის ეკონომიის ფაქტორის აღრიცხვისათვის საჭიროა ვისარგებლოთ სხვა მაჩვენებლებით.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

# კამათი ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო: სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

## ამხანაგ ნ. ი. ბელიაევის სიტყვის დასასრული

გმობდნენ ცალკეული ეკონომისტების ცდებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგების ყველაზე დიდმნიშვნელოვან ფაქტორებში შეეტანათ პროდუქტის ერთეულზე საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ყველაზე ნაკლები დახარჯვის პრინციპი. ამტკიცებდნენ, რომ საკოლმეურნეო მეურნეობაში თვითღირებულების კატეგორია არ არის. ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ საკოლმეურნეო წარმოებაში წარმოების დანახარჯების, თვითღირებულების, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გაზომვის საკითხები სრულიად არ არის დამუშავებული.

ეს თეორიული აბნეულობა ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარების მსვლელობაზე ფასების ფაქტორის გავლენის შეუფასებლობას.

უკანასკნელ დროს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სერიოზული ცვლილებანი შეიტანა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ფასების არსებულ დონეში, და ამ ცვლილებებმა დიდი დადებითი როლი შეასრულა ცალკეული კულტურებისა და დარგების განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების საქმეში. უნდა გაგრძელდეს მუშაობა სოფლის მეურნეობაში ფასების მოწესრიგებისათვის. მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები წესდებოდა მაშინ, როცა წარმოების პირობები განსხვავდებოდა ახლანდელი პირობებისაგან. ამჟამად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მრავალი ფასი (დამზადებისა, შესყიდვისა, საკონტრაქტაციო, პრემია-წანამატი და სხვ.), არსებობს შეუსაბამობა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებსა და ამ პროდუქტების წარმოების დანახარჯის დონეს შორის. ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების თანაფარდობა უნდა დაუკავშირდეს პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე მატერიალურ და შრომითს დანახარჯებს და სტიმულის მიმცემი სერიოზული ფაქტორი უნდა იყოს ცალკეული კულტურებისა და დარგების განვითარების საქმეში.

ბოლო უნდა მოეღოს ეკონომიური მეცნიერების ჩამორჩენას. აგრარიკოს ეკონომისტებს უნდა მოეთხოვოს სერიოზულად დაამუშაონ ცალკეული კულტურებისა და დარგების წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის საკითხები, შეიმუშაონ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოების დანახარჯების, მათ მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მეთოდიკა და ღონისძიებანი, დაამუშაონ შრომის ნაყოფიერების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების, მიწის სავარგულების შედარებითი შემოსავლიანობის საკითხები. ეკონომიურმა მეცნიერებამ სერიოზული დახმარება უნდა გაგვიწიოს იმ მუშაობაში, რასაც პარტია ახორციელებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გადასაყვანად სამეურნეო ანგარიშზე.

საჭიროა, რომ ეკონომისტებმა შეისწავლონ და ანალიზი გაუკეთონ ახალი აგროტექნიკური ხერხების, ახალი მანქანების, სორტებისა და ცხოველთა ჯიშების ეკონომიურ ეფექტიანობას. ნორმალურად ვერ მივიჩნევთ, რომ ეკონომისტების, აგრონომების, მექანიზატორების მთელ რიგ გამოცემულ შრომებში (ბასიუკის წიგნი „საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაცია“, 1946 წ. გამოც., სვირშჩევსკის წიგნი „სოციალისტური სოფლის მეურნეობის მექანიზაცია“, 1953 წ. გამოც., წიგნი ნ. ს. სოკოლოვის რედაქციით „მიწათმოქმედების საფუძვლები“, 1955 წ. გამოც.) ხელაღებით, რაიმე ეკონომიური ანალიზის გაუკეთებლად პროპაგანდას უწევენ თავთავიანი კულტურების მოსავლის მთლიანად პირდაპირ აღებას კომბაინებით, როგორც პურეულის აღების საუკეთესო საშუალებას.

ეკონომიური მეცნიერების ამოცანაა ფართოდ განაზოგადოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევები, მოწინავე გამოცდილება და მოგვცეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლის ნიმუშები კონკრეტულ საწარმოთა მაგალითებით.

### III.

XIX ყრილობის შემდეგ გასულ პერიოდში პარტიამ და მთავრობამ, იცავენ რა ლენინურ მითითებებს ეროვნულ საკითხში, განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი ზედმეტი ცენტრალიზაციის აღმოფხვრის საქმეში და ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გააფართოეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სამინისტროების უფლებები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ადგილობრივი ორგანოების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის გაძლიერებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის სამინისტროების საქმიანობაში აქტივობის სერიოზული გაძლიერება არ მომხდარა. განვლილ საოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკური ორგანოები მეტად მწვავედ გააკრიტიკეს.

კამენსკის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააკრიტიკეს საოლქო სამმართველოების მუშაობაში სუსტი დახმარებისა და კონტროლისათვის და ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდებისათვის.

პსკოვისა და კალინინგრადის კონფერენციებზე საბჭოთა მეურნეობებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის მწვავედ გააკრიტიკეს რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო. პსკოვის ოლქის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა „ოსტროვის“ დირექტორმა ამხ. ქელეზოვმა ილაპარაკა, რომ უკანასკნელ დროს სხვადასხვაგვარი დირექტივების ნაკადი კი არ შემცირებულა, არამედ გადიდდა. გასულ წელს საბჭოთა მეურნეობამ სამინისტროსაგან მიიღო 1.897 წერილობითი მითითება და განკარგულება, ამასთან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცავს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევას, რომლებიც საჭირო არ არის.

თქვენ იცით, რომ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა ამჟამად განმტკიცებულია და ახლა რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭო მოვალეა სწრაფად და გადაჭრით აღმოფხვრას ნაკლოვანებანი თავის საქმიანობაში.

უნდა ვთქვა, რომ ძლიერ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საქმის მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება რუსეთის სფსრ ოლქებში, არის ამხ. ხრუშჩოვის წინადადება — შეიქმნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო რსფს რესპუბლიკისათვის. ეჭვი არ არის, რომ ეს წინადადება მოწონებულ და განხორციელებულ იქნება.

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მოცულობა, რომელიც განსაზღვრულია დირექტივების პროექტით, ყოველი საბჭოთა ადამიანის გულში იწვევს სიამაყეს ჩვენი დიდი სამშობლოსათვის, აღტაცებას მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებით და უსაზღვრო მადლობას კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს კომუნიზმის აშენებისაკენ, აგრეთვე იწვევს სურვილს ვიმუშაოთ რაც შეიძლება უკეთ და უფრო მეტად.

ჩვენი ხალხი აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით. საბჭოთა წყობილების არსებობის წლებში მან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ცოტა დიდებული, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა როდი გადაწყვიტა, რის შედეგად ჩვენი ქვეყანა ამჟამად წარმოადგენს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ ბასტიონს.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი ხალხი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ საგმირო საქმეებს განახორციელებს საბჭოთა ადამიანებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საბედნიეროდ და სასიხარულოდ. (ტასი).

## დარბაზობა ბ-ნ ვენსან ორიოლის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. პ. ტარასოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ შ. რ. რაშიდოვმა 1 მარტს გამართეს დარბაზობა საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ბ-ნ ვენსან ორიოლის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ბ-ნი ვენსან ორიოლი და მისი მეუღლე.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. დ. კომაროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. პ. ელიუტინი, ნ. ა. მიხაილოვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეები გ. ა. ჟუკოვი და პ. ა. სატიუკოვი, გაზეთ „ტრუდის“ მთავარი რედაქტორი ბ. ს. ბურკოვი, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. პ. გორიუნოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები მ. რ. კუზმინი, ვ. ნ. სურინი, ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ი. ქ. ლებედევი და ა. მ. საფრონოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ პოპოვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პოლიანსკი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი დეკანოზი კ. ი. რუჟიცკი, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი პროტოპრესბიტერი ნ. ფ. კოლჩიცკი, რომის მოსკოვის რომაულ-კათოლიკური კოსტიოლის წინამძღვარი ი. ა. ბუტუროვიჩი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები ლ. თ. ილიჩოვი, ს. პ. კოზირევი, მ. ა. კოსტილევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ლ. ფ. ტეპლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის I განყოფილების გამგე ბ. ა. არუთინიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა და ფრანგი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყვნენ საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მ. დეჟანი და საელჩოს თანამშრომლები, აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებულ მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობის დროს მოხდა სიტყვების გაცვლა. (საკდესი).

## საბერძნეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ათენი, 29 თებერვალი. (საკდესი). საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან არსებულმა პრესის სამმართველომ დღეს გამოაქვეყნა კარამანლისის მიერ შედგენილი ახალი მთავრობის წევრთა სია. პრემიერ-მინისტრის პოსტი უკავია კონსტანტინოს კარამანლისს, პრემიერ-მინისტრის მოადგილისა — ანდრეას აპოსტოლიდისს. საგარეო საქმეთა მინისტრისა — სპიროს თეოტოკისს.

# საკდესის განცხადება

ამ უკანასკნელ ხანს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის (დასავლეთი გერმანია) საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორმა ჰ. ბრენტანომ გააკეთა მთელი რიგი განცხადებანი, რომლებშიც, ეხებოდა რა გერმანიის გაერთიანების და საბჭოთა კავშირთან გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხებს, საქმეს ისე სახავდა, თითქოს გერმანიის გაერთიანება შეიძლებოდეს ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის შეუთანხმებლად და თითქოს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ელჩების გაცვლასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყოს, რომ საბჭოთა მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის გაერთიანების საკითხზე.

ბ-ნ ჰ. ბრენტანოს ამ გამოსვლებთან დაკავშირებით საბჭოთა ავტორიტეტულ წრეებში შემდეგი განაცხადეს:

ბ-ნ ბრენტანოს ხსენებულ გამოსვლებს შეუძლიათ მხოლოდ ილუზიები შექმნან გერმანიის გაერთიანების გზების შესახებ და სრულიადაც არ უწყობენ ხელს გაერთიანების საქმის წინსვლას. საბჭოთა მთავრობა ხავსებით გარკვეულად აცხადებდა როგორც ოთხი სახელმწიფოს ჟენევის მოლაპარაკების დროს, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებთან მოსკოვში მოლაპარაკების დროს, რომ იმ პირობებში, როცა გერმანიაში ჩამოყალიბდა ორი სუვერენული სახელმწიფო, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს, გაერთიანების ერთადერთი გზაა პირდაპირი მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის. თუ გერმანიაში შექმნილ რეალურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, უნდა შევიგნოთ, რომ ამ საკითხის გადაჭრის სხვა გზა არ არსებობს.

საბჭოთა კავშირს, რომელმაც ოფიციალურად ცნო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, რა თქმა უნდა, არ შეუძლია გადაჭრას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის [illegible] რაიმე საკითხი და არ შეუძლია მის მაგიერ აწარმოოს [illegible] ამასთან საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომელიც იმის მომხრეა, რომ გერმანია გაერთიანდეს როგორც მშვიდობისმოყვარული და დემოკრატიული სახელმწიფო და რომელსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ისე გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან, მზად არის, თავის მხრივ, ხელი შეუწყოს იმას, რომ მათ შორის მიღწეულ იქნას საჭირო შეთანხმება. ამავე დროს სსრ კავშირის მთავრობა კვლავ ფიქრობს, რომ ის, ვინც ნამდვილად დაინტერესებულია გერმანიის გაერთიანებით, არ შეიძლება არ ესწრაფოდეს ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოებას და მათ შორის შესაბამისი თანამშრომლობის დამყარებას, რაც უპასუხებდა მისწრაფებებს თვით გერმანელი ხალხისა, რომელიც ქმედით ღონისძიებებს მოელის ამ მიმართულებით.

რაც შეეხება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხს, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ არსებობს ყველა პირობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის კარგი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. ამასთან, თუ ფედერალურ რესპუბლიკას სურს და შეუძლია განავითაროს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობა, საბჭოთა მხარე მიესალმებოდა ამას და მიაჩნია, რომ ამისათვის ფართო შესაძლებლობები არსებობს.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიზეზების გამო ჩნდება დაბრკოლებანი, ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის, ამასთანავე ფართო სავაჭრო, აგრეთვე კულტურული კავშირი კეთილსასურველად განვითარდება, რადგან ამას მოითხოვს ორივე ქვეყნის ინტერესები, ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესები.

## საბჭოთა კავშირის დახმარება თურქეთის მოსახლეობისადმი, რომელიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდა

ამ ბოლო დროს თურქეთში იყო დიდი სტიქიური უბედურება: წყალდიდობა თრაკიაში, ხანძარი ქალაქ გერზში, თურქეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ზვავები არზრუმის რაიონში და, ბოლოს, მიწისძვრა ესკიშეჰირის რაიონში, რამაც დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა მოსახლეობას და ადამიანთა დიდძალი მსხვერპლი გამოიწვია.

29 თებერვალს სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ანკარაში ამხ. კორნევი ეწვია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კეპრიულიუს და საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით თანაგრძნობა და სამძიმარი გამოუცხადა თურქეთის მთავრობასა და ხალხს სტიქიური უბედურების გამო, რომლისგანაც დაზარალდა თურქეთის მოსახლეობა, აგრეთვე აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა გამოჰყო 100 ათასი მანეთი სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული თურქეთის მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კეპრიულიუმ თურქეთის მთავრობის სახელით სთხოვა გადასცეს საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს გულითადი მადლობა მეგობრული და ჰუმანიური გრძნობებისა და დახმარებისათვის. (საკდესი).

## საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის მოლაპარაკება მდინარე პასვიკელვის ჰიდრორესურსების გამოყენების შესახებ

ოსლო, 1 მარტი. (საკდესი). როგორც ცნობილია, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ე. გერჰარდსენის საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს 1955 წლის ნოემბერში სსრ კავშირისა და ნორვეგიის მთავრობებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ექსპერტთა კომისიის დაარსების შესახებ, რომლის ამოცანაა წარადგინოს წინადადებანი სასაზღვრო მდინარე პასვიკელვის ჰიდრორესურსების გამოყენების უფლებათა, რაც შეიძლება რაციონალურად განაწილების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ საზღვრის რაიონში აიგება საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ჰიდროელექტროსადგურები.

მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან ამ შეთანხმების შესაბამისად ორივე მთავრობის მიერ დანიშნული საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კომისიის წევრები შეუდგნენ აღნიშნულ წინადადებათა ერთად შემუშავებას. კომისიის საბჭოთა ჯგუფს მეთაურობს სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ვ. სმირნოვი, ხოლო ნორვეგიის ჯგუფს — ფინმარკენის გუბერნიის გუბერნატორი პედერ ჰოლტი. კომისიის მოლაპარაკება წარმოებს მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხი

### ოფიციალური ცხრილი

### მოგებათა მე-15 ტირაჟისა,

რომელიც გაიმართა 1956 წლის 26 თებერვალს ქალ. კიროვოგრადში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 040107 | 05*) | 1.000 | 043903 | 1—50 | 500 | 048311 | 1—50 | 500 | 052446 | 05*) | 1.000 | 056356 | 07*) | 1.000 |
| 040315 | 06*) | 1.000 | 043946 | 1—50 | 200 | 048381 | 32*) | 1.000 | 052719 | 16*) | 1.000 | 056532 | 30*) | 1.000 |
| 040359 | 1—50 | 500 | 044000 | 1—50 | 500 | 048441 | 1—50 | 200 | 052851 | 1—50 | 500 | 056577 | 24*) | 1.000 |
| 040585 | 10*) | 1.000 | 044158 | 1—50 | 200 | 048584 | 1—50 | 200 | 053105 | 24*) | 1.000 | 056619 | 14*) | 5.000 |
| 040667 | 1—50 | 500 | 044825 | 22*) | 1.000 | 048668 | 08*) | 1.000 | 053336 | 40*) | 1.000 | 056810 | 1—50 | 500 |
| 041097 | 05*) | 1.000 | 044902 | 29*) | 1.000 | 048716 | 18*) | 1.000 | 053339 | 22*) | 5.000 | 056996 | 03*) | 10.000 |
| 041247 | 08*) | 1.000 | 045011 | 28*) | 1.000 | 048850 | 50*) | 1.000 | 053591 | 05*) | 1.000 | 057064 | 1—50 | 200 |
| 041270 | 02*) | 1.000 | 045210 | 1—50 | 200 | 048852 | 44*) | 1.000 | 053664 | 1—50 | 500 | 057291 | 1—50 | 200 |
| 041416 | 05*) | 1.000 | 045375 | 19*) | 1.000 | 048937 | 13*) | 1.000 | 053742 | 08*) | 1.000 | 057687 | 29*) | 1.000 |
| 041541 | 11*) | 5.000 | 045539 | 39*) | 1.000 | 049019 | 05*) | 1.000 | 053778 | 1—50 | 500 | 057934 | 32*) | 1.000 |
| 041661 | 44*) | 1.000 | 045589 | 01*) | 1.000 | 049093 | 41*) | 1.000 | 054087 | 1—50 | 500 | 057942 | 1—50 | 200 |
| 041688 | 1—50 | 500 | 045707 | 18*) | 5.000 | 049224 | 1—50 | 200 | 054145 | 16*) | 1.000 | 057955 | 06*) | 25.000 |
| 041817 | 1—50 | 500 | 045757 | 1—50 | 200 | 049464 | 05*) | 1.000 | 054189 | 21*) | 1.000 | 057958 | 09*) | 1.000 |
| 041957 | 32*) | 1.000 | 045800 | 14*) | 1.000 | 049618 | 08*) | 1.000 | 054268 | 45*) | 1.000 | 058087 | 20*) | 1.000 |
| 042096 | 1—50 | 200 | 046311 | 28*) | 1.000 | 050099 | 1—50 | 200 | 054332 | 07*) | 5.000 | 058262 | 1—50 | 200 |
| 042168 | 28*) | 1.000 | 046342 | 1—50 | 500 | 050182 | 19*) | 1.000 | 054404 | 16*) | 1.000 | 058615 | 30*) | 1.000 |
| 042215 | 16*) | 1.000 | 046458 | 24*) | 1.000 | 050295 | 04*) | 1.000 | 054456 | 36*) | 1.000 | 058735 | 45*) | 1.000 |
| 042421 | 05*) | 1.000 | 046494 | 1—50 | 500 | 050303 | 1—50 | 200 | 054799 | 29*) | 10.000 | 058836 | 09*) | 1.000 |
| 042458 | 1—50 | 500 | 046513 | 1—50 | 500 | 050582 | 1—50 | 500 | 055046 | 1—50 | 200 | 058905 | 14*) | 10.000 |
| 042570 | 02*) | 1.000 | 046758 | 1—50 | 500 | 050704 | 02*) | 1.000 | 055237 | 12*) | 1.000 | 059066 | 19*) | 1.000 |
| 042597 | 38*) | 1.000 | 046771 | 24*) | 1.000 | 050760 | 23*) | 1.000 | 055257 | 08*) | 1.000 | 059158 | 24*) | 1.000 |
| 042778 | 08*) | 1.000 | 046946 | 1—50 | 200 | 050858 | 1—50 | 200 | 055311 | 46*) | 1.000 | 059192 | 1—50 | 200 |
| 042821 | 02*) | 1.000 | 047065 | 07*) | 1.000 | 051065 | 29*) | 1.000 | 055317 | 1—50 | 200 | 059226 | 08*) | 1.000 |
| 042850 | 25*) | 1.000 | 047098 | 08*) | 1.000 | 051267 | 1—50 | 200 | 055348 | 10*) | 1.000 | 059334 | 38*) | 1.000 |
| 042870 | 19*) | 1.000 | 047390 | 45*) | 1.000 | 051408 | 47*) | 5.000 | 055488 | 46*) | 1.000 | 059336 | 06*) | 1.000 |
| 043065 | 32*) | 10.000 | 047567 | 44*) | 50.000 | 051556 | 28*) | 1.000 | 055565 | 30*) | 5.000 | 059433 | 1—50 | 200 |
| 043069 | 36*) | 1.000 | 047656 | 44*) | 1.000 | 051621 | 1—50 | 200 | 055588 | 19*) | 1.000 | 059641 | 1—50 | 200 |
| 043147 | 32*) | 1.000 | 047809 | 20*) | 1.000 | 051831 | 32*) | 1.000 | 055751 | 1—25 | 200 | 059666 | 50*) | 1.000 |
| 043367 | 48*) | 1.000 | 047881 | 05*) | 1.000 | 051909 | 14*) | 10.000 | 055782 | 1—50 | 200 | 059712 | 48*) | 1.000 |
| 043388 | 1—50 | 200 | 047917 | 34*) | 5.000 | 051919 | 24*) | 1.000 | 055827 | 1—50 | 200 | 059805 | 41*) | 1.000 |
| 043493 | 1—50 | 500 | 048045 | 12*) | 1.000 | 051936 | 1—50 | 500 | 055838 | 08*) | 1.000 | 059910 | 07*) | 1.000 |
| 043558 | 19*) | 1.000 | 048147 | 33*) | 1.000 | 052057 | 44*) | 5.000 | 055954 | 46*) | 1.000 | 059918 | 11*) | 25.000 |
| 043743 | 38*) | 1.000 | 048205 | 1—50 | 200 | 052181 | 31*) | 1.000 | 055986 | 08*) | 1.000 | 059941 | 1—50 | 200 |
| 043880 | 36*) | 1.000 | | | | 052194 | 1—50 | 200 | 056010 | 40*) | 5.000 | | | |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — კიროვოგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ავგუსტოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი მ. ა. სმირნოვა.


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის და მინერალოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. პეტროგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი — მეცნიერებათა დოქტორი,
2. სასარგებლო წიაღისეულის განყოფილების ხელმძღვანელი — მეცნიერებათა დოქტორი,
3. ქანების აბსოლუტური ასაკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი — მეცნიერებათა დოქტორი,
4. სპექტრალური და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელი — მეცნიერებათა დოქტორი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შეაქვთ განცხადება, რომელსაც თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, დიპლომისა და ატესტაციის ასლები სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების შესახებ, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, სამეცნიერო შრომების სია და დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან. საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ცალად.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 5.


## დღეს

### თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — კარმენი, რუსთაველის სახელობის — ჩვენებურები, მარჯანიშვილის სახელობის — ზვავი, გრიბოედოვის სახელობის — პირველი გაზაფხული, სომხური დრამის — სასიძოები, მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კოჭლი მეწისქვილე (აბონემენტი № 50, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ცისფერი და ვარდისფერი (7 ს. და 30 წ.), თოჯინების ქართული — ჩექმებიანი კატა (10 ს.).

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, ვორონცოვისა და პლეხანოვის სახელობის კლუბები — გაცრუებული ოცნებები, კომკავშირელი, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი — ორი ოკეანის საიდუმლოება. დიდუბე — მისამართის ძებნა.

## დისერტაციების დაცვა

### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 13 მარტს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ლეილა კალისტრატეს ასული ტყეშელაშვილი

თემაზე: „ფოსფორილქოლინისა და ფოსფორილეთანოლამინის რაოდენობითი განაწილება და განახლების სისწრაფე ცხოველის ორგანიზმში“.

2. თამაზ ალექსანდრეს-ძე ალექსიძე

თემაზე: „О влиянии света (зеленого и белого) на внутриглазное давление“.

შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, თარხნიშვილის ქ. № 2.


მოქალაქე ვასილ დიმიტრის-ძე გრიგორიევმა, მცხოვრებმა ჯავის მე-2 შესახვევი № 6, აღძრა საქმე ჩოდრიშვილის ქ. № 24/25 მცხოვრებ მოქალაქე ლარისა დიმიტრის ასულ შატალოვასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ფეოდოსია მაკარის ასულმა ტუნიმ, მცხოვრებმა მიასნიკოვის ქ. № 97, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ივანე ექვთიმეს-ძე ჟარკოვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.


შვილი ვლადიმერ გლუშაკოვი, დები ოლღა, ვალენტინა, ნადეჟდა, ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

ტატიანა გიორგის ასულ ბერძენი-გლუშაკოვას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 3 ს. ბინიდან, ათარბეგოვის ქ. № 16.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პარტკომი და ადგილკომი იუწყებიან უნივერსიტეტის უხუცესი პედაგოგის, დამსახურებული მასწავლებლის, დოცენტ

ივანე თედორეს-ძე ნიჟარაძის

გარდაცვალებას.

შვილები გრამიტონ, დავით, ალექსანდრა, სოკრატ ოჯახებით იუწყებიან

ელისაბედ საჩინოს ასულ ახათიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III სოფელ ტვიშში (ცაგერის რაიონი).

მეუღლე მელანია ნათესავებით იუწყება

ვანო აბრამის-ძე ციციშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III, 2 ს. სოფელ არაშენდაში (კახეთის რაიონი).

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან

თინათინ რაფიელის ასულ ჩიხლაძე-ხეჩინაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 3 ს. კამოს ქ. № 79.

მეუღლე ნინო, შვილი ლამარა ნათესავებით იუწყებიან

მიხეილ პლატონის-ძე ქავზინაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III ქ. სამტრედიაში. გამოსვენება ბინიდან, ცხაკაიას ქ. № 30.

დედა თამარ, მეუღლე მერი, და მარგო ოჯახით იუწყებიან

მიხეილ სერგოს-ძე ჯარიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 3 ს. ორჯონიკიძის ქ. № 115-ა.

შვილები ამბროსი, ანეტა, მიხეილ ოჯახებით იუწყებიან

პელაგია თეიმურაზის ასულ ნიქაბაძე-შარვაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III სოფელ კვალითში (ზესტაფონის რაიონი).

დედა მარო, მამა ვასილ, მეუღლე ოლია, შვილი ლელი, და ანო ოჯახებით იუწყებიან

გიორგი ვასილის-ძე ბესტავაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III ქ. გორში, გამოსვენება ბინიდან, წულუკიძის ქ. № 3.

უე 00657. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.